ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №6781604

ნომერი: AR11002081

თარიღი : 22.11.2023

გაცემის თარიღი : 30.11.2023

გაცნობის თარიღი : 01.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანდრონიკაშვილის (ყოფ. ულიანოვის) ქუჩა N29; ქალაქი თბილისი , ქუჩა ანდრონიკაშვილი , (ყოფილი ულიანოვის) , N 29 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ანდრონიკაშვილი , (ყოფილი ულიანოვის) , N 29 , (ნაკვეთი N8/36) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ულიანოვი , N 29;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ზაალიშვილი პ/ნ 01019002357
- თბილისი რკინიგზის ქ. N 18 ბ. 3

ნომენკლატურა :

- საწყობი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ალექსანდრე ჯობავა
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "იუ ეი დი სტუდია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206218109

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ლთბ"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 200118425
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლევანი ზაალიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01019002357

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5227546 6241417 09/12/2022 6497245 07/06/2023
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 16.12.2020

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს ლევანი ზაალიშვილის 22/11/2023 წლის AR11002081 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16/12/2020 წლის № 5227546 ბრძანებაში და ბრძანების მე–3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 30 ნოემბრიდან 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. “.

4. . მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, მათ შორის, ამორტიზებული ან სხვა არსებული ნაგებობების დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოცილებასთან და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან;
2. შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება .
3. შენობის მიწის სამუშაოები;
4. შენობის ფუძის მოწყობის სამუშაოები.
5. შენობის საძირკვლების მოწყობის სამუშაოები.
გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი
6. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობის ნულოვან ნიშნულამდე.
7. ძირითადი კარკასის მონტაჟი +7,00 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კოსნტრუაციების გამოკლებით);
8. ძირითადი კარკასის მონტაჟი +9,00 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კოსნტრუაციების გამოკლებით);
9. შენობის სახურავის მოწყობა.
10. შენობის არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა.
11. შენობის ლოკალური საერთო საინჟინრო ქსელების მონტაჟი.
12. შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება .
13. ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი.
14. ტერიტორიის კეთილმოწყობა სამშენებლო ნარჩენების გატანა.

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი (ზედამხედველობის) ეტაპის

დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16/12/2020 წლის №5227546 ; 09/12/2022 წლის № 6241417 და 07/06/2023 წლის № 6497245 ბრძანებებთან ერთად.

---

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.